

განათლების სექტორი საქართველოში

ივლისი 2026

ევა ბოჭორიშვილი
კვლევების
დეპარტამენტის უფროსი

თათია მამრიკიშვილი
ტურიზმისა და მომსახურების სექტორების
კვლევების უფროსი

ქეთევან მაღრაძე
უფროსი
ანალიტიკოსი

სარჩევი

ძირითადი მიგნებები

განათლების სექტორის მიმოხილვა
- განათლების სექტორის ბაზრის სტრუქტურა
- შემოსავლების ტენდენციები
- საჯარო და კერძო სექტორის დინამიკა

ზოგადი განათლება
- შემოსავლების ტენდენციები და მოთხოვნის განმაპირობებელი ფაქტორები
- მომგებიანობის ინდიკატორები
- ბაზრის მოლოდინები

უმაღლესი განათლება
- შემოსავლების ტენდენციები და მოთხოვნის განმაპირობებელი ფაქტორები
- საერთაშორისო სტუდენტების ტენდენციები
- კურსდამთავრებულთა და შრომის ბაზრის შეუსაბამობა
- უმაღლესი განათლების ბაზრის რეფორმა

დანართები

ძირითადი მიგნებები

საქართველოს განათლების სექტორი

საქართველოს განათლების სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ დარგად ჩამოყალიბდა, 2019-25 წლებში სექტორის შემოსავლები გაორმაგდა და ₾4.3 მილიარდს მიაღწია, ხოლო მისი წილი მშპ-ში 6.4%-მდე გაიზარდა 2025 წელს, 2019 წლის 4.5%-დან. სექტორი ოთხ ძირითად სეგმენტს მოიცავს: ზოგადი განათლება (₾2.1 მლრდ), უმაღლესი განათლება (₾1.3 მლრდ), სკოლამდელი განათლება (₾0.7 მლრდ) და სხვა საგანმანათლებლო მომსახურებები (₾0.2 მლრდ). სექტორის შემოსავლების ზრდის მთავარი წყარო ზოგადი და უმაღლესი განათლება იყო, თუმცა, ზრდა სხვა ქვე-სექტორებშიც დაფიქსირდა. ზოგადი განათლების ზრდა ძირითადად სახელმწიფო დაფინანსებით იყო განპირობებული, ხოლო უმაღლესი განათლების ზრდას კერძო დანახარჯები განაპირობებდა, განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტების მხრიდან.

ზოგადი განათლების სექტორი

ზოგადი განათლების სექტორის შემოსავალი 2019-25 წლებში საშუალოდ წლიურად 14.4%-ით იზრდებოდა და 2025 წელს ₾2.1 მილიარდს მიაღწია. ზოგადი განათლების სექტორის შემოსავლების 74.9% (₾1.6 მლრდ) საჯარო სკოლებს უჭირავს. ამასთან, კერძო სკოლების შემოსავლები 2019-25 წლებში გაორმაგდა და 2025 წელს 526 მლნ ლარს მიაღწია, რასაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა რაოდენობის ზრდამ, სწავლის საფასურის მატებამ და ძვირადღირებული სკოლების გაფართოებამ. შობადობის კლებადი ტრენდის გათვალისწინებით, საშუალოვადიან პერიოდში კერძო სკოლების შემოსავლების ზრდა უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ბაზრის წილის ზრდასა და მოთხოვნის ახალ წყაროებზე.

სექტორის გამოწვევად რჩება მასწავლებელთა ასაკობრივი სტრუქტურა და ახალი კადრების შემოდინების ნაკლებობა, დაბალი ანაზღაურების პირობებში. ბოლო წლებში საჯარო სკოლებში მასწავლებელთა ხელფასების ზრდამ ნაწილობრივ კერძო სკოლებზეც იქონია გავლენა, რამაც მათი საოპერაციო ხარჯები გაზარდა და მომგებიანობაზე უარყოფითად იმოქმედა. მზარდი ხარჯები განსაკუთრებით მცირე და ნაკლებად ეფექტიან ოპერატორებს უქმნის გამოწვევებს, რაც სექტორში კონსოლიდაციის პოტენციალს ქმნის.

უმაღლესი განათლების სექტორი

უმაღლესი განათლების სექტორის შემოსავალი 2019-25 წლებში საშუალოდ წლიურად 11.5%-ით იზრდებოდა და 2025 წელს ₾1.3 მილიარდს მიაღწია, რაც ძირითადად უცხოელი სტუდენტების შემოდინებით იყო განპირობებული. უცხოელი სტუდენტების რაოდენობა 2019-2025 წლებში გასამმაგდა და 44 ათასს მიაღწია, რის შედეგადაც მათი წილი სტუდენტთა მთლიან რაოდენობაში 19.8%-მდე გაიზარდა – ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ნიშნულამდე მსოფლიოში. ხელმისაწვდომობისა და ცხოვრების შედარებით დაბალი ხარჯების ფონზე, საქართველო საერთაშორისო სტუდენტებისთვის კონკურენტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა. თუმცა, სექტორი სულ უფრო მეტად კონცენტრირებული ხდება, უცხოელი სტუდენტების 53.8% ინდოეთიდანაა, რომელთა უდიდესი ნაწილი ჯანდაცვის მიმართულებით სწავლობს. აღნიშნული ზრდის დამოკიდებულებას როგორც ერთ კონკრეტულ ბაზარზე, ისე აკადემიურ მიმართულებაზე, რის გამოც სტუდენტების დივერსიფიკაცია წარმოშობის ქვეყნისა და სასწავლო პროგრამის მიხედვით, სექტორისთვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პრიორიტეტად იქცევა.

მაშინ, როცა საერთაშორისო მოთხოვნა სექტორის ზრდას უწყობს ხელს, ადგილობრივ ბაზარზე კურსდამთავრებულების პროფილი შრომის ბაზრის მოთხოვნებს ვერ შეესაბამება. საქართველო გამოირჩევა ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებებზე სტუდენტების უჩვეულოდ მაღალი წილით, ხოლო განათლების, პროფესიული და ტექნიკური მიმართულებების სტუდენტების წილი მნიშვნელოვნად დაბალია. აღნიშნული შეუსაბამობა დასაქმების მაჩვენებლებზეც აისახება – საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე პირებში უმუშევრობის დონე 11%-ს შეადგენს, მაშინ, როცა OECD-ის საშუალო მაჩვენებელი 4.8%-ია.

2026 წლის უმაღლესი განათლების რეფორმა მიზნად ისახავს არსებული სტრუქტურული შეუსაბამობების შემცირებას მიმართულებების მეტი სპეციალიზაციის, პროგრამების სტრუქტურის ცვლილებისა და საჯარო უნივერსიტეტებში უცხოელი სტუდენტების მიღების შეზღუდვების გზით. აღნიშნულმა ცვლილებებმა შესაძლოა გააუმჯობესოს რესურსების განაწილება და განათლების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, თუმცა, საბოლოო ეფექტი განხორციელების ხარისხზე იქნება დამოკიდებული.

საქართველოს განათლების ბაზრის სტრუქტურა 2025 წელს

განათლების სექტორის შემოსავლები
4.3 მლრდ ლარი

ზოგადი განათლება
2.1 მლრდ ლარი

- საჯარო სკოლები
  (სრულად სახელმწიფო დაფინანსებაზე დამოკიდებული)
  1.6 მლრდ ლარი
- კერძო სკოლები
  0.5 მლრდ ლარი

უმაღლესი განათლება
1.3 მლრდ ლარი

- საჯარო უნივერსიტეტები
  0.6 მლრდ ლარი
- კერძო უნივერსიტეტები
  0.7 მლრდ ლარი

სკოლამდელი განათლება
690 მლნ ლარი

- საჯარო ბაღები
  656 მლნ ლარი
- კერძო ბაღები
  34 მლნ ლარი

სხვა
169 მლნ

- საჯარო
  114 მლნ
- კერძო
  56 მლნ

წყარო: საქსტატი, განათლების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

2019-25 წლებში განათლების სექტორის შემოსავლები გაორმაგდა და 2025 წელს 4.3 მლრდ ლარს მიაღწია, ზრდის მთავარი წყარო ზოგადი და უმაღლესი განათლება იყო

განათლების სექტორის შემოსავლები ქვე-სექტორების მიხედვით, მლრდ ლარი



2019-25 წლებში განათლების სექტორის შემოსავლების ზრდის მთავარი წყარო ზოგადი და უმაღლესი განათლება იყო, თუმცა, ზრდა სხვა ქვე-სექტორებშიც დაფიქსირდა.

საქართველოს რეალური მშპ-ს ზრდა და განათლების სექტორის რეალური ზრდა



2022 წლიდან განათლების სექტორი მშპ-ზე სწრაფი ტემპით იზრდებოდა, რამაც ეს დარგი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ დარგად აქცია.

ეკონომიკა სექტორების მიხედვით, 2025E



შედეგად, განათლების სექტორის წილი მშპ-ში 6.4%-მდე გაიზარდა 2025 წელს 2019 წლის 4.5%-დან.

წყარო: საქსტატი, განათლების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

ზოგადი განათლების ზრდა ძირითადად სახელმწიფო დაფინანსებით იყო განპირობებული, ხოლო უმაღლესი განათლების სექტორის ზრდას კერძო დანახარჯები განაპირობებდა, განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტების მხრიდან

ზოგადი განათლება: კერძო და საჯარო სკოლების შემოსავლები, მლრდ ლარი



2019-25 წლებში ზოგადი განათლების სექტორის შემოსავლების ზრდა ძირითადად საჯარო სკოლებზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდამ განაპირობა, თუმცა, კერძო განათლებაზე მზარდმა მოთხოვნამ კერძო სკოლების შემოსავლების სწრაფი ზრდაც გამოიწვია (13.7% CAGR 2019-25 წლებში).

უმაღლესი განათლება: კერძო და საჯარო უნივერსიტეტების შემოსავლები, მლრდ ლარი



უმაღლესი განათლების სექტორის ზრდის მთავარი მამოძრავებელი კერძო უნივერსიტეტები იყო, რაც ძირითადად უცხოელი სტუდენტების მხრიდან მოთხოვნის ზრდას უკავშირდებოდა.

წყარო: საქსტატი, განათლების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

ზოგადი განათლება

კერძო სკოლების შემოსავლები 2019-25 წლებში საშუალოდ 13.7%-ით გაიზარდა და 2025 წელს 526 მლნ ლარს მიაღწია

კერძო სკოლების შემოსავლები, მლნ ლარი



2021-25 წლებში გახსნილი მსხვილი კერძო სკოლები, მოსწავლეთა რაოდენობა 2025 წლის მდგომარეობით



კერძო სკოლების შემოსავლების ზრდა განსაკუთრებით დაჩქარდა 2021 წლიდან, რასაც კერძო განათლებაზე მზარდი მოთხოვნა, ახალი სკოლების გახსნა და სწავლის საფასურის ზრდა განაპირობებდა.

კერძო განათლებაზე მზარდი მოთხოვნა აისახა 2021 წლის შემდეგ გახსნილი მსხვილი სკოლების სწრაფ გაფართოებაში - თბილისში, განსაკუთრებით გარეუბნებში გახსნილი სკოლები უკვე ასეულობით მოსწავლეს ემსახურება.

წყარო: საქსტატი, განათლების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

კერძო სკოლების შემოსავლების ზრდა როგორც მოსწავლეთა რაოდენობისა და სწავლის საფასურის ზრდამ, ისე ძვირადღირებული სკოლების გაფართოებამ განაპირობა

კერძო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა საქართველოში



კერძო სკოლებში ერთ მოსწავლეზე საშუალო შემოსავალი, ლარი



2025/26 სასწავლო წელს კერძო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობამ 72.0 ათასს მიაღწია, ზრდის ტემპმა კი 2022-25 წლებში 4.2% CAGR შეადგინა. პანდემიის პერიოდის (2020-21) გამოკლებით, როდესაც მოსწავლეების ნაწილი კერძო სკოლებიდან საჯარო სკოლებში გადავიდა, 2015-19 წლებში მოსწავლეთა რაოდენობა წლიურად საშუალოდ 3.4%-ით იზრდებოდა.

კერძო სკოლების შემოსავლების ზრდას დამატებით ხელი შეუწყო მოქმედ სკოლებში სწავლის საფასურის ზრდამ და ძვირადღირებული სკოლების წილის ზრდამ ბაზარზე.

წყარო: საქსტატი, განათლების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

მოსწავლეთა რაოდენობის ზრდას განაპირობებდა ურბანიზაცია, მსხვილ ქალაქებში შემოსავლების ზრდა და მიგრანტების შემოდინება

კერძო სკოლების წილი მოსწავლეებში ქალაქების მიხედვით, 2025/26



კერძო სკოლები ქალაქების მიხედვით, 2025/26

ქალაქი	სკოლების რაოდენობა	მოსწავლეების რაოდენობა	მოსწავლეების რაოდენობა ერთ სკოლაში
თბილისი	108	46,866	434
საიდანაც:			
ვაკე-საბურთალო	49	23,505	480
გლდანი-ნაძალადევი	21	8,825	420
დიდუბე-ჩუღურეთი	9	4,766	530
ისანი-სამგორი	16	5,477	342
მთაწმინდა-კრწანისი	13	4,293	330
ბათუმი	18	8,350	464
ქუთაისი	9	3,402	378
რუსთავი	7	1,456	208
სხვები	63	11,926	185
სულ	**205**	**71,756**	**350**

კერძო სკოლების წილი მოსწავლეთა რაოდენობაში ყველაზე მაღალია დიდ ქალაქებში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი), რასაც მაღალი ურბანიზაცია, მზარდი შემოსავლები და მიგრანტების შემოდინება განაპირობებს.

თბილისში კერძო სკოლების ძირითადი კონცენტრაცია კვლავ ვაკე-საბურთალოზეა, თუმცა, გარე უბნებში, განსაკუთრებით გლდანი-ნაძალადევსა და ისანი-სამგორში კერძო სკოლების გაფართოება განპირობებულია როგორც ცენტრალურ უბნებში მიწის შეზღუდული რესურსით, ისე გარეუბნებში მზარდი მოთხოვნით.

წყარო: საქსტატი, განათლების სამინისტრო, გალტ & თაგარტი

შობადობის ტრენდების გათვალისწინებით, მოსალოდნელია მოსწავლეების რაოდენობის შემცირება საშუალოვადიან პერიოდში



წყარო: საქსტატი, განათლების სამინისტრო, გალტ & თაგარტი

მოსწავლეთა რაოდენობის შემცირების ფონზე, კერძო სკოლების ზრდა ძირითადად ბაზრის წილის ზრდასა და მოთხოვნის ახალ წყაროებზე იქნება დამოკიდებული

მოსწავლეების გადასვლა საჯარო სკოლებიდან კერძო სკოლებში

ყველაზე სავარაუდო

კერძო სკოლების ზრდის მთავარი შესაძლებლობა - საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია კერძო სკოლების წილის ზრდა მოსწავლეთა საერთო რაოდენობაში, არსებული 11%-დან ევროკავშირის ნიშნულებამდე (16-25%). კერძო სკოლებში მოსწავლეთა მიგრაციას ხელს შეუწყობს როგორც შემოსავლების ზრდა, ისე ოჯახების მზარდი მოლოდინები საგანმანათლებლო შედეგების მიმართ.

უცხოელი ოჯახები საქართველოში

რეალური, თუმცა არასტაბილური

2022 წლის შემდეგ, მიგრაციის ტალღამ გაზარდა უცხოელი ოჯახების მოთხოვნა საერთაშორისო სასწავლო პროგრამების მქონე სკოლებზე. ეს წარმოადგენს დამატებითი მოთხოვნის რეალურ, თუმცა არასტაბილურ წყაროს, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე.

კონსოლიდაცია შერწყმისა და შესყიდვების (M&A) გზით

სტრუქტურული, შედარებით ნელი

სექტორში კონკურენციისა და ხარჯების ზრდის ფონზე, სუსტი ოპერატორების ბაზრიდან გასვლა ხელს შეუწყობს კერძო სკოლების სექტორის კონსოლიდაციას. ბოლო ათწლეულში 41 კერძო სკოლის დახურვა მიუთითებს, რომ ბაზარზე დარჩენისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მასშტაბი, ეფექტიანობა და ხარისხის შენარჩუნების შესაძლებლობა.

საშუალო კლასის მოსახლეობის ზრდა ხელს შეუწყობს კერძო სკოლების მიმართ მოთხოვნის ზრდას

საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობის განაწილება სახელფასო დიაპაზონის მიხედვით, ლარი



2,500 ლარზე მეტი ხელფასის მქონე დასაქმებულთა წილი 2025 წელს 25%-მდე გაიზარდა, 2019 წელს არსებული 7%-დან, რაც კერძო განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდის პოტენციალზე მიუთითებს.

მოსახლეობის წლიური ფულადი დანახარჯები განათლებაზე, მლნ ლარი



კერძო განათლების მიმართ ხელმისაწვდომობისა და მზაობის ზრდა აისახება განათლებაზე გაწეული ხარჯების ზრდაში. 2024 წელს მოსახლეობის მიერ განათლებაზე გაწეული წლიური ხარჯი 70.9%-ით გაიზარდა 2019 წელთან შედარებით.

წყარო: საქსტატი, შემოსავლების სამსახური, გალტ & თაგარტი

PISA-ს შეფასებებში, კერძო სკოლების მოსწავლეებს საჯარო სკოლებზე უკეთესი შედეგები აქვთ, რაც კერძო განათლების მიმართ მოთხოვნის ზრდის დამატებითი ფაქტორია

მოსწავლეების შედეგები PISA (2022)-ში სკოლის ტიპის მიხედით



მოსწავლეების შედეგები PISA (2022)-ში, საქართველო vs OECD



საქართველოში კერძო სკოლები, როგორც წესი, საჯარო სკოლებთან შედარებით უკეთეს აკადემიურ შედეგებს აჩვენებენ, რაც კერძო სექტორში მოსწავლეთა რაოდენობის ზრდას უწყობს ხელს.

ბოლო წლებში გაუმჯობესების მიუხედავად, საქართველოს PISA-ს შედეგები ყველა მიმართულებით კვლავ მნიშვნელოვნად ჩამორჩება OECD-ის საშუალო მაჩვენებლებს, რაც კერძო სექტორის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას ქმნის.

წყარო: საქსტატი, OECD, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, გალტ & თაგარტი

სექტორისთვის გამოწვევაა მასწავლებელთა ხანდაზმულობა და ახალი კადრების შემოდინების ნაკლებობა

მასწავლებლების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



2025 წელს 50 წელს გადაცილებული პედაგოგები მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 55%-ს შეადგენდნენ. შედარებისთვის, 50 წელს გადაცილებული პედაგოგების წილი 2015 წელს 44% იყო.

ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით



მიუხედავად ზრდისა, განათლების/პედაგოგიკის პროგრამები სტუდენტების არჩევის თვალსაზრისით, ერთ-ერთ ნაკლებად პოპულარულ მიმართულებად რჩება, მათი წილი მთლიან ჩარიცხვებში 2025 წელს 4.6%-მდე გაიზარდა 2018 წლის 1.8%-დან და მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროგრამებს აღემატება.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ჩარიცხულთა რაოდენობა მოიცავს საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიული განათლების (VET) პროგრამებს; განათლების მიმართულება მოიცავს მასწავლებელთა მომზადებისა და პედაგოგიკურ მეცნიერებათა პროგრამებს; 21-30 წლის ასაკობრივი ჯგუფი მოიცავს 21 წლამდე ასაკის მასწავლებლებსაც.

ახალი კადრების შემოდინების ერთ-ერთი მთავარი ბარიერი დაბალი ანაზღაურებაა, რაც ნაწილობრივ მასწავლებელთა ჭარბი მიწოდებით არის განპირობებული

მოსწავლეების რაოდენობა ერთ მასწავლებელზე, უახლესი მონაცემები



მოსწავლეების რაოდენობა ერთ მასწავლებელზე საქართველოში რეგიონების მიხედვით, 2025



საქართველოში ერთ მასწავლებელზე მოსწავლეთა რაოდენობა 9.7-ს შეადგენს, რაც OECD-ის 13.9-იან მაჩვენებელზე დაბალია. ჭარბი მიწოდება და ხანდაზმული ასაკობრივი სტრუქტურა ზღუდავს ანაზღაურების ზრდის შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს პროფესიის მიმზიდველობას ახალგაზრდებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ქალაქებში მოსწავლე-მასწავლებლის თანაფარდობა OECD-ის მაჩვენებელთან ახლოსაა, ხოლო მასწავლებელთა ჭარბი რაოდენობა ძირითადად რეგიონებშია კონცენტრირებული, 2025 წლის მდგომარეობით.

წყარო: საქსტატი, მსოფლიო ბანკი, გალტ & თაგარტი

პრობლემის საპასუხოდ, მთავრობამ მასწავლებელთა ხელფასები გაზარდა, რამაც სექტორის მომგებიანობა შეამცირა

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საჯარო და კერძო განათლების სექტორში, ლარი



ისტორიულად, საჯარო და კერძო განათლების სექტორში ხელფასების დინამიკა მსგავსად ვითარდებოდა, საჯარო სექტორში მასწავლებელთა ანაზღაურების ზრდა კერძო სექტორზეც აისახებოდა. აღნიშნული ტენდენცია 2024 წელსაც შენარჩუნდა, როდესაც საჯარო სექტორის მასწავლებლების ხელფასების ზრდა (1 ივლისიდან) კერძო სექტორზეც აისახა.

კერძო ზოგადი განათლების სექტორის საოპერაციო მოგების მარჟა



ხელფასების ზრდამ ზოგადი განათლების სექტორის მომგებიანობაზე უარყოფითად იმოქმედა - შრომითი ხარჯების წილი შემოსავლებში 68.0%-მდე გაიზარდა 2024 წელს 2017-23 წლებში არსებული 61%-დან.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: განათლების სექტორში საშუალო ხელფასები ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურებასაც მოიცავს, რაც შესაძლოა კერძო განათლების სექტორში საშუალო ხელფასის მაჩვენებელს ზრდიდეს.

მზარდი საოპერაციო ხარჯები ზრდის კონკურენტულ წნეხს სუსტ ოპერატორებზე და ხელს უწყობს სექტორის კონსოლიდაციას

უმსხვილესი კერძო სკოლების ფინანსური მაჩვენებლები, 2024



კერძო სკოლების რაოდენობა საქართველოში ზომის მიხედვით, 2026



მაღალი პერსონალის ხარჯები კერძო სკოლების მომგებიანობის მთავარი შეზღუდვაა. ეფექტიანი ხარჯების სტრუქტურის მქონე სკოლები 15-37%-იან EBITDA მარჟას ინარჩუნებენ, ხოლო მაღალი დანახარჯების მქონე ოპერატორები ზღვრულ მომგებიანობაზე ან ზარალზე მუშაობენ. მზარდი სახელფასო ხარჯების პირობებში, კონკურენტული უპირატესობა მასშტაბურ და ეფექტიან ოპერატორებს ენიჭება, რაც სუსტი მოთამაშეების ბაზრიდან გასვლას დააჩქარებს.

დღეს, 205 კერძო სკოლიდან 133-ს 300-ზე ნაკლები მოსწავლე ჰყავს, რის გამოც ბაზარი კვლავ ფრაგმენტირებული რჩება. ასეთ პირობებში, მოსალოდნელია უფრო მასშტაბური და ინსტიტუციური ოპერატორების გაძლიერება, რადგან ისინი უკეთ უმკლავდებიან ხარჯობრივ, რეგულაციურ და ხარისხობრივ გამოწვევებს.

წყარო: SARAS, განათლების სამინისტრო, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: მწვანე სკოლის მონაცემები აერთიანებს თბილისის 4 კამპუსს; ბრიტანულ-ქართული აკადემია ეფუძნება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას; ბაქსვუდის მონაცემები არ მოიცავს გელოვანის კამპუსს.

უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების სექტორის შემოსავლები 2019-25 წლებში საშუალოდ 11.5%-ით გაიზარდა, რასაც ძირითადად უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა განაპირობებდა

უმაღლესი განათლება: კერძო და საჯარო სექტორის შემოსავლები, მლრდ ლარი



უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების რაოდენობა მოქალაქეობის მიხედვით, '000



უმაღლესი განათლების სექტორის ზრდა ძირითადად უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდამ განაპირობა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტებში. კერძო უნივერსიტეტების შემოსავლები საშუალოდ წლიურად 18.9%-ით გაიზარდა 2019-25 წლებში, მაშინ როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტებში ზრდამ 5.8% შეადგინა.

უცხოელი სტუდენტების რაოდენობა 2025 წელს სამჯერ გაიზარდა 2019 წელთან შედარებით, ხოლო ქართველი სტუდენტების რაოდენობა შედარებით ზომიერი ტემპით გაიზარდა.

წყარო: საქსტატი, განათლების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

უცხოელი სტუდენტები ძირითადად კერძო უნივერსიტეტებს ირჩევენ, მთავრობის მიერ სახელმწიფო უნივერსიტეტებში უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვაზე დაწესებული შეზღუდვები ამ ტენდენციას კიდევ უფრო გააძლიერებს

საქართველოში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა დაწესებულების ტიპის მიხედვით, '000



2025 წლის მდგომარეობით, უცხოელი სტუდენტების 83% კერძო უნივერსიტეტებში სწავლობს. სახელმწიფო უნივერსიტეტებში უცხოელი სტუდენტებისთვის დაწესებული კვოტები, კერძო უნივერსიტეტების მიმართ მოთხოვნას, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაზრდის.

კერძო უნივერსიტეტების შემოსავლები



უცხოელი სტუდენტებისთვის სწავლის საფასური, როგორც წესი, უფრო მაღალია, რაც კერძო უნივერსიტეტების შემოსავლების ზრდას უწყობს ხელს. აღნიშნული ტენდენცია აისახება ერთ სტუდენტზე საშუალო შემოსავლის 1.5-ჯერ ზრდაში 2019-2025 წლებში.

წყარო: საქსტატი, განათლების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

უცხოელი სტუდენტების მხრიდან, მოთხოვნას ძირითადად ინდოელი სტუდენტები ქმნიან

საქართველოში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა მოქალაქეობის მიხედვით, '000



უცხოელი სტუდენტების წილი სტუდენტებში სხვადასხვა ქვეყანაში, ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემი, %



საქართველოში უცხოელი სტუდენტების ზრდა ძირითადად ინდოეთიდან სტუდენტების შემოდინებამ განაპირობა. ინდოელი სტუდენტები უცხოელი სტუდენტების საერთო რაოდენობის 53.8%-ს ქმნიან, 2025 წლის მდგომარეობით. თუმცა, მზარდია ინტერესი ახლო აღმოსავლეთისა და სხვა რეგიონების მხრიდან.

უცხოელი სტუდენტების ზრდის შედეგად, მათი წილი მთლიან სტუდენტებში 2015 წლის 5.0%-დან 2025 წელს 19.8%-მდე გაიზარდა, რაც მსოფლიოში ერთ-ერთ უმაღლეს მაჩვენებელს წარმოადგენს. თუმცა, კონცენტრაცია ინდოეთსა და სამედიცინო პროგრამებზე, ხაზს უსვამს როგორც ახალი ბაზრების, ისე აკადემიური მიმართულებების დივერსიფიკაციის მნიშვნელობას სექტორისთვის.

წყარო: საქსტატი, UNESCO

საქართველო ინდოელი სტუდენტებისთვის მე-8 უმსხვილესი მიმართულებაა, რასაც ხელს უწყობს ქვეყნის ხელმისაწვდომობა, სწავლისა და ცხოვრების შედარებით დაბალი ხარჯები

საზღვარგარეთ მოსწავლე ინდოელი სტუდენტების რაოდენობა დანიშნულების ქვეყნების მიხედვით, 2026 წლის იანვარი



ცხოვრების ღირებულებისა და ქირის ინდექსი სხვადასხვა ქვეყანაში, 2026



2026 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველო ინდოელი სტუდენტებისთვის მე-8 უმსხვილესი დანიშნულების ქვეყანაა და საზღვარგარეთ მყოფი ინდოელი სტუდენტების 1.3%-ს მასპინძლობს, რასაც ქვეყნის გეოგრაფიული სიახლოვე და შედარებით მაღალი ხელმისაწვდომობა უწყობს ხელს.

საქართველოში ცხოვრების ხარჯები ყველაზე დაბალ დონეზეა შესადარ ქვეყნებს შორის და მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ევროპისა და OECD-ის ქვეყნების უმეტესობას, რაც ქვეყანას საერთაშორისო სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ და მიმზიდველ მიმართულებად აქცევს.

წყარო: ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, Numbeo

შენიშვნა: ცხოვრების ღირებულებისა და ქირის ინდექსი სამომხმარებლო საქონლისა და საცხოვრებლის ფასებს ნიუ-იორკის მაჩვენებლებს ადარებს.

უცხოელი სტუდენტები ძირითადად ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამებზე ქმნიან მოთხოვნას

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა სწავლების საფეხურებისა და პროგრამების მიხედვით, 2025/26 აკადემიური წელი



წყარო: საქსტატი

ადგილობრივ ბაზარზე, კურსდამთავრებულების პროფილი შრომის ბაზრის მოთხოვნებს არ შეესაბამება

უმაღლეს განათლებაში ჩარიცხული სტუდენტების განაწილება პროგრამების მიხედვით, ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემები



საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ, '000



საქართველო გამოირჩევა ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებებზე სტუდენტების უჩვეულოდ მაღალი წილით, ხოლო განათლების, ინჟინერიის, პროფესიული და ტექნიკური მიმართულებების სტუდენტების წილი მნიშვნელოვნად დაბალია.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ 2026 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზის მიხედვით, ქვეყანაში ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებების კურსდამთავრებულთა მიწოდება აღემატება შრომის ბაზრის მოთხოვნას, მაშინ როდესაც პროფესიული/განათლების მიმართულებით მწვავე დეფიციტი ფიქსირდება.

წყარო: საქსტატი, განათლების სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, მსოფლიო ბანკი, გალტ & თაგარტი

შედეგად, საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის უმუშევრობის დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია შესადარის ქვეყნებს შორის

უმუშევრობა უმაღლესი განათლების მქონე პირებში, უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის %, 2024



კურსდამთავრებულთა დასაქმების დონე 20-34 წლის ახალგაზრდებში (%)



საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე პირებში უმუშევრობის დონე 2024 წელს 11% იყო, რაც მნიშვნელოვნად აღემატება OECD-ის საშუალო მაჩვენებელს (4.8%) და უმაღლესი განათლების შედეგებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის სუსტ შესაბამისობაზე მიუთითებს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს 20-34 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების დონე 59.7%-მდე გაიზარდა 2020 წლის 49.4%-დან, რაც კურსდამთავრებულების შრომის ბაზარზე ინტეგრაციის გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

წყარო: მსოფლიო ბანკი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: უმაღლესი განათლება მოიცავს მოკლე ციკლის უმაღლეს განათლებას, ბაკალავრის ან ექვივალენტურ საფეხურს, მაგისტრის ან ექვივალენტურ საფეხურს, ასევე დოქტორის ან ექვივალენტურ საფეხურს; ახალკურსდამთავრებულთა დასაქმების დონე გაიანგარიშება 20-34 წლის პირებზე, რომლებიც ერთდროულად აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს: 1. არიან დასაქმებულები; 2. განათლების უმაღლესი მიღწეული დონე შეესაბამება განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (ISCED) 3-8 დონეს (ზოგადი საშუალო განათლება და მეტი); 3. არ სწავლობდნენ და არ გადიოდნენ ტრენინგებს გასული ოთხი კვირის განმავლობაში; 4. განათლების უმაღლესი მიღწეული დონე დამთავრებული აქვთ გამოკითხვამდე 3 წლის განმავლობაში.

უმაღლესი განათლების 2026 წლის რეფორმის ერთ-ერთი მიზანია კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის გაუმჯობესება

ერთი ქალაქი - ერთი ფაკულტეტი

უპირატესობა: მიმართულებების კონცენტრაცია ხელს უწყობს ფინანსური და აკადემიური რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას, რაც კონკრეტულ სფეროებში განათლების ხარისხისა და შედეგების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

გამოწვევა: ამცირებს ინტერდისციპლინურ სწავლებასა და თანამშრომლობას, რაც ევროპული განათლების სისტემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

3+1+1 სისტემა

უპირატესობა: მოკლე პროგრამები ამცირებს სწავლის დროსა და ხარჯს, რაც შრომის ბაზარზე შესვლას აჩქარებს - განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც პრაქტიკულ უნარებს აკადემიურ სიღრმეზე მეტი მნიშვნელობა აქვს.

გამოწვევა: სასწავლო პროგრამების ხანგრძლივობის შემცირებამ, განათლების ხარისხის შესაბამისი გაუმჯობესების გარეშე, შესაძლოა შეასუსტოს კურსდამთავრებულთა კომპეტენციები, დასაქმების შესაძლებლობები და ქართული უმაღლესი განათლების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა.

სახელმწიფო დაფინანსების მოდელი

უპირატესობა: სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის სრულად დაფინანსება ამცირებს ფინანსურ ბარიერებს და ხელს უწყობს უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას სხვადასხვა შემოსავლის ჯგუფისთვის.

გამოწვევა: სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულმა ჩარიცხვის კვოტებმა შესაძლოა შეამციროს უნივერსიტეტების მოქნილობა, ოპერატიულად უპასუხონ სტუდენტებისა და შრომის ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დაფინანსების მოდელი სათანადოდ ითვალისწინებდეს კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას, რაც აუცილებელია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და სასწავლო პროგრამების განვითარებისთვის.

საჯარო უნივერსიტეტებში უცხოელი სტუდენტების მიღების აკრძალვა

უპირატესობა: ათავისუფლებს აკადემიურ რესურსებს ქართველი სტუდენტებისთვის საჯარო უნივერსიტეტებში, სადაც უცხოელი სტუდენტების ზრდის ფონზე, ადგილობრივი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი შესაძლებლობები მცირდებოდა.

გამოწვევა: ამცირებს საჯარო უნივერსიტეტების შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს, თუმცა, პირდაპირი ფინანსური გავლენა შეზღუდულია, რადგან 2025 წლის მდგომარეობით 44,400 უცხოელი სტუდენტიდან მხოლოდ 7,545 სწავლობდა სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

დანართები

დანართი 1 – განათლების სისტემა საქართველოში, 2025/26



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: პროფესიული განათლება მოიცავს სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც იღებენ სტუდენტებს პროფესიულ პროგრამებზე

დანართი 2 – სკოლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

სკოლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, ერთეული

	2015/2016	2016/2017	2017/2018	2018/2019	2019/2020	2020/2021	2021/2022	2022/2023	2023/2024	2024/2025	2025/2026
საქართველო	**2,331**	**2,321**	**2,308**	**2,313**	**2,313**	**2,309**	**2,308**	**2,302**	**2,296**	**2,294**	**2,292**
თბილისი	300	297	287	290	291	289	292	287	289	285	284
იმერეთი	400	398	396	396	396	396	396	393	392	392	392
ქვემო ქართლი	268	266	266	267	268	267	267	267	265	265	264
სამეგრელო ზემო-სვანეთი	263	263	263	263	262	262	261	261	260	259	259
აჭარა	255	255	254	255	253	253	253	253	253	254	254
სამცხე-ჯავახეთი	206	206	206	206	206	206	206	206	205	205	205
კახეთი	195	195	193	193	193	191	191	192	191	191	191
შიდა ქართლი	172	171	171	171	171	172	172	171	171	170	170
გურია	101	101	101	101	101	101	101	101	101	101	101
მცხეთა-მთიანეთი	88	88	88	88	89	89	88	88	88	88	88
რაჭა-ლეჩხუმი & ქვემო-სვანეთი	68	68	68	68	68	68	68	68	68	69	69
აფხაზეთი ავტონომიური რესპ.	15	13	15	15	15	15	13	15	13	15	15

წყარო: საქსტატი

დანართი 3 – მოსწავლეების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

მოსწავლეების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, ერთეული

	2015/2016	2016/2017	2017/2018	2018/2019	2019/2020	2020/2021	2021/2022	2022/2023	2023/2024	2024/2025	2025/2026
საქართველო	**553,914**	**564,729**	**575,181**	**584,374**	**592,883**	**609,095**	**624,524**	**633,302**	**634,311**	**640,686**	**644,243**
თბილისი	180,612	187,661	194,110	200,198	205,829	212,425	219,155	224,081	225,293	229,149	232,134
იმერეთი	73,970	74,780	76,038	76,603	76,914	78,682	80,421	80,829	80,702	80,205	79,969
ქვემო ქართლი	66,046	67,450	68,585	69,606	70,427	72,311	73,649	74,253	74,111	74,305	74,654
აჭარა	54,115	55,216	56,247	57,826	59,068	61,273	63,645	66,440	67,778	70,591	72,457
სამეგრელო ზემო-სვანეთი	43,288	43,293	43,496	43,684	43,840	44,691	45,608	45,605	45,534	45,054	44,525
კახეთი	42,723	42,915	42,859	42,707	43,100	44,343	45,386	45,547	45,225	45,583	45,489
შიდა ქართლი	37,153	37,411	37,801	37,799	37,772	38,502	39,215	39,454	39,334	39,585	39,582
სამცხე-ჯავახეთი	24,810	24,745	24,618	24,532	24,424	24,695	24,732	24,477	24,179	24,027	23,653
გურია	14,405	14,378	14,425	14,241	14,165	14,371	14,495	14,490	14,284	14,094	13,743
მცხეთა-მთიანეთი	11,275	11,484	11,703	11,899	12,079	12,491	12,888	12,821	12,792	12,833	12,796
რაჭა-ლეჩხუმი & ქვემო-სვანეთი	3,261	3,136	3,013	2,954	2,928	2,939	2,907	2,883	2,869	2,866	2,843
აფხაზეთი ავტონომიური რესპ.	2,256	2,260	2,286	2,325	2,337	2,372	2,423	2,422	2,210	2,394	2,398

წყარო: საქსტატი

დანართი 4 – სტუდენტების რაოდენობა აკადემიური საფეხურის მიხედვით

სტუდენტების რაოდენობა აკადემიური საფეხურის მიხედვით, სახელმწიფო სასწავლებლები

	სულ	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამა, რეზიდენტურა	პროფესიული პროგრამა
2015/16	90,452	71,465	16,185	2,802
2016/17	91,740	70,867	17,276	3,597
2017/18	93,627	71,559	18,481	3,587
2018/19	95,923	73,250	20,595	2,078
2019/20	95,535	72,938	20,026	2,571
2020/21	100,568	75,721	21,477	3,370
2021/22	101,737	76,242	21,510	3,985
2022/23	97,768	72,135	22,426	3,207
2023/24	105,142	76,987	23,628	4,527
2024/25	108,381	80,281	23,621	4,479
2025/26	108,098	80,876	22,656	4,566

სტუდენტების რაოდენობა აკადემიური საფეხურის მიხედვით, კერძო სასწავლებლები

	სულ	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამა, რეზიდენტურა	პროფესიული პროგრამა
2015/16	42,492	34,665	6,884	943
2016/17	48,521	38,261	9,134	1,126
2017/18	50,181	37,163	11,803	1,215
2018/19	51,791	37,808	13,345	638
2019/20	53,268	38,929	13,899	440
2020/21	56,726	42,162	14,091	473
2021/22	58,105	39,813	17,713	579
2022/23	63,524	37,902	25,390	232
2023/24	72,649	44,527	27,867	255
2024/25	79,418	45,331	33,756	331
2025/26	87,328	48,470	38,038	820

წყარო: საქსტატი

დანართი 5 – სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით

სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით, სახელმწიფო სასწავლებლები

	2024/25			2025/26		
	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსი, რეზიდენტურა	პროფესიული პროგრამა	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსი, რეზიდენტურა	პროფესიული პროგრამა
ჯამი	80,281	23,621	4,479	80,876	22,656	4,566
საიდანაც						
განათლება	1,571	2,173	895	1,969	2,050	984
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	11,789	861	78	11,224	909	77
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	32,354	3,937	880	33,226	4,013	1,041
მეცნიერება	17,365	2,290	710	17,302	2,287	420
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	6,869	768	369	6,929	789	443
სოფლის მეურნეობა	2,227	335	158	2,712	308	139
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,432	13,050	305	1,939	12,110	575
მომსახურება	5,674	207	1,084	5,575	190	887

სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით, კერძო სასწავლებლები

	2024/25			2025/26		
	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსი, რეზიდენტურა	პროფესიული პროგრამა	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსი, რეზიდენტურა	პროფესიული პროგრამა
ჯამი	45,331	33,756	331	48,470	38,038	820
საიდანაც:						
განათლება	199	367	103	236	42	414
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	3,481	412	-	3,508	353	-
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	25,789	3,417	73	27,403	4,045	162
მეცნიერება	5,518	370	-	5,927	484	-
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	3,121	93	41	3,018	111	121
სოფლის მეურნეობა	930	478	-	915	460	4
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,841	28,573	-	5,472	32,464	-
მომსახურება	2,452	46	114	1,991	79	119

წყარო: საქსტატი

დანართი 6 – სახელმწიფო დანახარჯი განათლებაზე

სახელმწიფო დანახარჯი განათლებაზე, მლრდ ლარი



სახელმწიფოს მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯების სტრუქტურა, 2024



წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: სახელმწიფო დანახარჯები ეფუძნება კონსოლიდირებულ ბიუჯეტს და დათვლილია GFSM 2014-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად

დანართი 7 – საქართველოდან საზღვარგარეთ წასული სტუდენტების რაოდენობა

საქართველოდან საზღვარგარეთ წასული სტუდენტების რაოდენობა



ქვეყნების მიხედვით გამავალი მობილობის მაჩვენებელი, ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემები, %



წყარო: საქსტატი, UNESCO, ევროსტატი, მსოფლიო ბანკი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: გამავალი მობილობის მაჩვენებელი ასახავს კონკრეტული ქვეყნიდან საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნილი სტუდენტების რაოდენობას ამავე ქვეყნის უმაღლესი განათლების მთლიან ჩარიცხვებთან მიმართებით, %.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი
ევა ბოჭორიშვილი
evabochorishvili@gt.ge

ტურიზმისა და მომსახურების სექტორების კვლევების უფროსი
თათია მამრიკიშვილი
tmamrikishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ქეთევან მაღრაძე
k.maghradze@gt.ge

მისამართი:
3 პუშკინის ქუჩა, თბილისი, 0108, საქართველო

ტელ.: + (995) 32 2401 111

ელ-ფოსტა: research@gt.ge

მნიშვნელოვანი შეტყობინება

დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი.

ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.